

მეცნი ერივლეს და აღაგამადეანის ოში

ჭ.

ამ ოში იმერლების ლალათი

ეართალია თუ არა?

გამოცემული

ა. გოგიაშვილის-აივან



ტფილისი.

სტამბა მ. შარაძესა და ამხანაგობისა.

1895



მეცნე ერევლეს და აღა მაადეანის ოპი

რ

აა თავი იხერლების ლალათი

გართალია თუ არა?

33 999

გამოცემული.

ან. გოგიაშვილის-აიგრ.



ტვილისი.

სრამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

თე. მ. შარაძე და კ. ნიკ. უ. № 21.

1895

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23-го Сентября 1895 г.

აღა-მაჰადის შემოსევა ტფილისში.

1795 წ. სეკტემბრის 10-სა, შაბათს დღეს, და-
ლით, მეფე ერეკლეს და ოღა მაჰმად ხანს შორის
ომი დაიწყო. ოღა-მაჰმად-ხანს ახლდა სამოცდა-ათი
ათასი რჩეულნი მეომარნი.

მეფე ერეკლეს ახლდა ხუთი-ათასი რჩეულნი
სამუდამო მორიგი მეომარნი: სამი-ათასი რჩეულნი
სათადარიგო ქიზიყელნი, სამასი არაგველნი, რჩეულ-
ნი ვაჟკაცნი, ორი-ათასი თუშ-ფშავ-ხევსურ-ერწო-
თიანელნი ვაჟკაცნი, ორი-ათასი რჩეულნი ვაჟკაცნი
ქართლისა, სამი ათასი კვალად ქართლისავე საცი-
კიანოსი, საერისთავოსი, საამერიჯიბო, საამილახვ-
როსი და სათარხნოსი.

ათასამდე მხედარნი ბოლნის ხეობისა, ოლგეთის-
მანგლის ხეობისა და მარაბდელნი, ასამდე ტფილისის
მცხოვრებნი, ამათ წინამძლოლობდა. ტფილისელი
აღალუა სომეხი.

კვალად იყვნენ რჩეულნი ხუთასამდე თავად-
აზნაურნი, სურამიდგან იყვნე მოსულნი ორი ათასი
რჩეულნი მხედარნი, სამი ათასი იმერეთიდგან იყვნენ
მოსულნი მხედარნი. იმერეთის ჯარს ახლდა სოლო-
მონ მეფე და ზურაბ წერეთელი.

კვალად მეფეს ჰუკი ათასი რჩეულნი
მეომარნი მხედარნი ცხენოსანი,

მეფე ერეკლეს მორიგი და საშველათ მოსულ
ლაშქრის რიცხვი 23 ათასამდე იყო.

აღა-მაპმალ-ხანს ახლდა კვალად ცხენოსანი რჩე-
ულნი მხედარნი ოცდა ათი ათასი. სულ ოთხმოც-
და-ათი ათასი.

ქართველს ჯარს წინამძღოლობდნენ თვითონ
მეფე ერეკლე, ვახტანგ ბატონიშვილი, დავით ბატო-
ნიშვილი და ძმა მისი იოანე ბატონიშვილი.

იმერეთის ჯარს წინამძღოლობდა თვით მეფე
სოლომონ და ზურაბ წერეთელი.

აღა-მაპმალ-ხანის ბანაკი იყო სოლანლულს, რო-
მელიც ჰურავს ტფილისით ერთის ეჯით ანუ ერ-
თისა ფარსანგითა, რომელი არს შვიდი ვერსი. ბა-
ნაკს გარშემო თხრილები აქვნდა, რომ მეფის მხედ-
რობისაგინ უეცარი თავ-დასხმა არ შემთხვევოდა.

მეფე ერეკლემ ადრევე სცნა საქმის ვითარება,
მტრობა მრავალთა და ამიტომ მთელს ტფილისის
მცხოვრებთ აუწყა სოფლად გასვლა, მცხოვრებთის-
მინეს რჩევა მეფისა, დაკეტეს სახლ-კარნი და წავი-
დნენ დუშეთს, ანანურს, ყიზლარს და მთიულეთს.
ქალაქში დარჩნენ ოდენდა მცველნი სახლებისა, თითო
კაცი თითო უბანსა და თითო დიდს სასახლესა, ქარ-
გასლებსა და ეკლესიებსა.

ქალაქი მთლად, დაიცალა.

ტფილისში დარჩა რამდენიმე სამღვდელო პირნი

დ მათ შორის დოსითეოზ ნეკრესელი, მიტროპოლიტი, კაცი დიდად მოყვარე ქვეყნისა, თავდადებული. ანტონ ქათალიკოზის სიკვდილის შემდეგ ამას უნდა მიეღო ქათალიკოზობა, მაგრამ ეს მღვდელ მთავარი გიორგი მეფეს არ უყვარდა და ამიტომ თავის ძმა ანტონს მისცა, რამაც ააღელვა ქართველი სამღვდელოება. თვით ეს მღვდელთ მთავარი იყო ზრავალ სამეცნიერო წიგნებთა მთარგმნელი, მჭევრმეტყველი, ფილოსოფი და მქადაგებელი.

დღესა შაბათს, 10 სეკტემბერს, ბრძოლა უყო მეფე ერეკლემ და ბატონიშვილმან მაჰმად-ხანის ჯარს, კრწანისის ველზედ, აქვე დაესწრნენ სოლომონ იმერთა მეფის სარდალნი და წინამძღვრლნი.

მარჯვენა მხარეს იდგა ქართველთა სარდალი ოთარ ამილახვარი. ითანე მუხრანის ბატონი, მეფის გამოჩენილნი გმირნი, გაბრიელ მაიორი და ს. მრავალნი.

მარცხენა მხარეს იდგა სარდლად: ქიზიყის მოურავი, სარდალი ზაქარია ანდრონიკაშვილი და მრავალნი გმირნი ქართველთა, გამოჩენილნი სამხედრო ცოდნითა და სწავლით.

ამ დღის ომში ფრიად მხნედ იბრძოლეს ქართველთა, სპარსნი აოტნეს, ქართველნი მოსწყლნენ ათასამდე და სპარსნი ექვსი ათასამდე.

შემდეგი ომი, დაიწყო კვირას, 12 სეკტემბერს:

ამ ომში კვალად განვიდა მეფე ერეკლე, თან

ყვნენ ბატონიშვილები და სარდლები. ლაშქარი და-
აღგინა ხუთ ნაწილად. მარჯვენა მხარეს დააღგინა
დავით ბატონიშვილი სეიდაბათის ბალთან, სადაც
შეერთდებიან გზანი სოლოლაკისა და ტაბახმელისა.
მეფე ერეკლეს ჭ დავით ბატონიშვილს აქვნდა ოცამდე
საშუალი და წვრილნი ცეცხლ-სასროლენი ე. ი.
ზარბაზანნი.

მეწინავედ განაწესა მხედრობანი რჩეულნი
„რომელთაცა მძღვანად ჰყო: შვილი შვილი მეფის
ძე ითანე, მარცხენა მხარეს დააყენა ივანე მუხრანის
ბატონი, კვალად ქმნა ორნისხვანი გუნდნი: ჭ დააღგი-
ნა მხედართ მძღვნად ერთისა ძე თვისი ვახტანგ, ეს იყო
თარამილახვარის ხელმძღვანელობის ქვეშ, სადაც სა-
ჭირო იქმნებოდა ლაშქარი ბრძოლის დროს, ამას
უნდა მიეშველებინა. ამათაც აქვნდათ იმდენივე ზარ-
ბაზანიმარჯვენივ და მარცხნივ, კერძოდ მეფისა იყვნენ
მხედრობანი ქვეითს გარდა ცხენოსანნიცა, კანონი-
ერათ თავთავიანთ ხელმძღვანელთა ქვეშ ყოფილნი.

მეფე ერეკლე ხევის მარჯვენა პირს იდგა და ხევის
მარცხენა პირას უმზერდა, საიდგანაც მისწვდებოდა
მტერს ტყვია ზარბაზანი, დააღგინა არტილერია და
გმირები. ამ ომში სპარსთაგან ბრძოლნენ მხოლოდ
თოთხმეტნი ათასნი და ქართველნი ათი ათასი..

სპარსთ აქვნდათ საკმარისნი ზარბაზანნი ჭ ზამ-
ბურაჭნი, ამათვე ახლდათ ექვსი ათასი თურქთა მეომ
არნი, რომელნიც სპარსთა ჯარს უკან უდგნენ, ესე-
ნი დარაჯობდნენ სპარსთ მხედრებს, რომ ამის

დროს უკან არ დაეხიათ, თორემ, მოკლავდნენ. ყეინის ბრძანება ასეთი იყო. ამათთანვე იდგა თვით მაჰმად-ხანი

ბრძოლა გაგრძელდა დილას შუალამემდე მეშვიდესა უამსა და ბრძოლნენ ცხარედ. ქართველნი შემცირდნენ, მეფემ მიაშველა ვახტანგ ბატონიშვილი მხედრობით.

აქ გაჩნდნენ სამასი არაგველნი, ამათ შორიდამ შესძახეს მეფეს ფიცი: მეფემ გადახედა და ხელები ღმერთს შეაპყრა.

ამ დროს ქართველთაგან რჩეულ იქმნენ ქართველთ გმირები და ჭიზიყველნი მეომარნი, არაგველნი, ფშაველნი, ხევსურნი და ამათ იწყეს პირის-პირ ბრძოლა; „სპარსთა ლაშქარი მისდრიკეს.“

კვალად ალირჩიეს ქართველთა და ტფილისელთა გამოჩენილნი მეომარნი. მეომრებმა, თავის წინამძღვანდ ალირჩიეს კაცი ვინმე მსახიობი, რომელსა საზანდარს უხმობენ. ესე იყო ერთი წარჩინებული მე-საკრავთაგან და მსახიობთაგან მეტისათა, „მუზიკი. და კომენდატი, ეს ჭირბილ იყო სახლშიაფ რთგორც უფროსი მსახიობი. ესე იყო გვარეულობით და სარწმუნოებითაც ქართველი, რომელსაც სახელს სდებდნენ მაჩაბლად. ესე მიუძღვა გუნდსა ტფილისელთა მტერთა ზედა და ეპყრა ხელთა მისთა ბარბით ე. ი. დაირა და უკრავდა მას ზედა შაიღანსა ე. ი. ხმასა მას, რომელსაცა ლნინსა შინა დაუკვრენ, უამსა შინა უმეტეს სიხარულისას, ვინაიდგან ხმა ესე განამხიარულებს მსმენელთა“.

ქართველთა ჯარი ორ დასაღ გაიყო, ერთი
დასი იერიშით მივიღა მტერზედ, აქ იყო მეფე ერე-
კლეც. ქართველნი იბრძოდნენ ქვეითად და ცხენო-
სანთ, მასთან მკვირცხლად. „ქართველნი დროშება-
მდის მიიწივნეს“ მოსტაცეს დროშები. დიდალი
რიცხვი გასწყვიტეს სპარსთა. მეფე თვით იბრძოდა.

ალა-მაჭმაღ-ხანი დიდად გაჰკვირდა და შეშინდა,
ამასთან მივიღნენ ტფილისელი არზუმანაშვილი,
ფანოზაშვილი, არარაცკი და ვილაც ყარაბაღელი
სომეხი, კუზიან დარჩიას და ყორლანაშვილის მცნობი
და ყეინს მოახსენეს ერეკლე მეფის ჯარის ცოტა-
ობა

ყეინმა სთქვა:

„ სიურმითგან ჩემით ვიდრე აქამომდე დამიუღიერეს
ბრძოლასა შრნა და ასად მიხილავს წინააღმდეგნი, ვითარ
ესე კაცნა ჩემდა მიმართ ჭყოფენ ბრძოლას“. ამის
შემდეგ მან მოუწოდა 40 ათას დასვენებულ ქვეითა
ჯარს მაზანდარელთა და ქურთებთა; რომელნი
იდგნენ და უამს უცდიდნენ. ესენი ფარვით იდგნენ
ქართველთა თანა. სპარსნი შეერთდნენ ერთად და
მოსვენებულნი სპარს-ქურთნი ეკვეთნენ დამაშვრალთ
ქართველთა. ქართველთ იწყეს სისხლით. წვეთამდე
ბრძოლა, ამ წუთაში გაწყდნენ მთლათ მეფის გლეხთა
გმირები: პაატა, გელა და გიორგი.

მთლათ გაწყდნენ 300 არაგველნიც.

გაწყდნენ ათასამდე იმერნი, რომელთა მხნეობაც

გახდა მის საფუძველთ რომ აღა-მაჰმად-ხანიცკი გაჰკ-
ვირდა.

ქართველნი ბრძოლნენ რაც ძალ ედვათ, რაო-
დენ და ვიდრემდის ბუნება კაცისა თავს იდებდა და
ძალ ედვა ბრძოლად. და რა უას არღა ძალ იდებ-
ოდეს უმეტეს მისა შრომა: მაშინ გასწირნეს თავინი
თვისნი და შესწირეს მსხვერპლად საყვარელსა მამუ-
ლსა თვისსა, და წინაშე მეფისა თვისისა სახელოვნად
დასთხივნეს სისხლი თვისი.

მეფე ერეკლემ იხილა სიძნელე ბრძოლისა და
რაც ძალი და ღონე ჰქონდა ამაგრებდა მხედრობას. სალამო გარდიშურა, მეფეს არა ნებდა ომის შეჩერება; მაგრამ სარდალთ აღარ მისცეს ნება, საქმე წახდებაო, წახდენა შეჩერებით ავიცინოთო. ომი შეაჩერეს, ომის შემდეგ მეფეს მოახსენეს მის ერთგულთა და მახლობელთა შემდეგი.

„უწყის ყოველმან სკიპორისა თქვენისა ქვეშე
მყოფმან სიმხნე და გულოვნება თქვენი და რომელ
არა ჰრიდებთ თავსა თქვენსა სიკვდილად ერისათვის
შენისა და მსხვერპლ ექმნა მამულსა საყვარელსა,
მაგრამ თუ საღმე გეწიოს ძვირი ანუ ბოროტი რამე,
უმეტეს განლაღნენ მტერნი და უყოფენ ძვირსა ქვე-
ყანასა ჩვენსა“: თუმც მეფეს ავედრებდნენ ომიდგან
გასვლას, თავის გადარჩენას, თორემ შენ რომ მოგკ-
ლან უფრო აირევა საქმეო, „გარნა მეფე კვალად
იმყოფებოდა მუნვე“:

გათენდა მესამე ლლე და დაიწყეს ბრძოლა.

დიდის სიმხნით იომა თვით მეფემ, ამის გვერდს იყვნენ სამი ათასი ცხენოსანი ქართველნი და სასტიკალ ებრძოლენ, დღე მიიწურა, ვახტანგ ბატონიშვილმა, იოანემ და დავითმა მტერი განთანტეს, მეფე დასჭრეს, მეფის ძენი და სარდალნი გაბასრულ იქმნენ სისხლსა შინა[‘]. მაშინ მოუახლოვდნენ სპარსნი სადა იგი იყო ფოდა მეფე, მოუხდეს აღმატებულითა ძლიერებითა და კნინღა მოჰკვლიდეს, ანუ შეიბყრობდეს, უკეთუ შვილის-შვილი ამა მეფისა, მეფის ძე იონე. არა იყომცა მუნ რომელიცა ყოვლითურთ აღმატებულითა და საკვირველებითა გულოვნებითა და სიმხნითა, რაოდენითა მე მახლობლითა მით, რომელნიცა იყვნენ მას ეამსა შინა მეფისა, თანა მებრძოლნი, ეკვეთა მეფის ძე იონე მახლობლად პაპისა მისისა მოსრულთა სპარსთა და უკუნ აქცივნა და განარინნა ხელთაგან მათთა მეფე.

ალა-მაჰმად-ხანმა ნახა მეფის გადარჩენა, და ჯარი მოუსია, ამ დროს ტფილისის ციხიდგან მკვირცხლად იწყეს ზარბაზნის სროლა. უმეტეს აღალუამან სომე-ხმან. ქართველთა რჩეული მეომრები გაწყდნენ თით-ქმის. საღამომ მოატანა და ომი შეჩერდა. ქართველ-თა ერთგულთ მეფეს ურჩიეს თავის გადარჩენა, თო-რემ ალა-მაჰმად-ხანს უმეტეს თქვენი მოკვლა ჰსურს და მაშინ უფრო ცუდი იქნება ჩვენი საქმეო.

მოხუცი მეფე თუმც შესწუხდა ამაზედ, მაგრამ მაინც განეშორა ტფილის, გავიდა. მწუხარებით ჰელაბრის ხიდზე და მთიულეთისკენ წავიდა. თან გაჰყვა სოლომონ მსაჯული, მეომრებმა მეფეს

არწმუნეს: ხვალ გმირული ომი მოხდებათ და აქ გადასწყდება ქართველთა შვილების გმირობის დღეო. მეფე დააიმედეს, რომ ოლონდ შენ წადი, შენ არა დაგიშვედეს-რა და ჩვენ ვიცით ბრძოლის საქმეო.

ამ ომის დროს დიდად მხნეობდა ქაიხოსრო კენკია ავალიშვილი, რევაზ ანდრონიქაშვილი და მრავალნი სხვანი

გათენდა დილა და დაიწყეს ომი. ქართველნი იბრძოდნენ დიდის გმირობით, დიდის სისხლის ლვრით, მაგრამ საქმე გასჭირდა: დიდი ძალი ვაჟკაცობა გასწყდა ამ დღეს, აღარავინ და შთა თითქმის და უმეტეს ახლად მჩველებულნი ქართველთა მხედარნი. ბევრი ქართველი იქმნა ნაჭერ ნაჭერ დაკუწული.

ამ ბრძოლაში დაკუწეს ნაჭერ-ნაჭერ თავადი ოთანე აბაშიძე, ხე ნიკოლოზ მდივანბეგისა, ახლო ნათესავი მეფე ერეკლესი.

დაკუწეს თავადი გიორგი^o გურამიშვილი, ივივე ქუმელად სახელდებული. ესე იყო ერთ უპირველეს მოხელეთაგანი არტილერიისა და მეცნიერიც არტი-ლერიისა ხელოვნებისა.

კვალად დაკუწულ იქმნა. გაბრიელ მაიორი, აზნაურიშვილი, არტილერიისა უფროსი, კაცი ფრიად მხნე და განსწავლული. ამ გაბრიელ მაიორმა საქართველოში გამართა მეფე ერეკლეს. დროს წარმოდგენები, ამ წარმოდგენების ბილეთებმაც მოაღწიეს ჩვენ დრომდე, ბილეთზე დაბეჭდილია და ასოებით ამოწყობილია: „შაური ორი გაბრიელ მაიორი“ ე. ი.

ბილეთი ორი შაური. ცხადი საქმეა რომ გაბრიელ
მაიორი რუსეთში ან ევროპაში ნამყოფი ნასწავლი
იქნებოდა.

ესენი იყვნენ ბრძოლასა შინა ფრიად გამოც-
დილნი, ესენი ამოქმედებდნენ მხნეთა და გულოვან
მეომართა გლეხთა და შეაძრწუნეს სპარსნი და
მრავალნი სპარსნი გასწყვიტეს ზარბაზნითა მიერ და
ფრიადისა ღვაწლითა ვისლა ძალ ედვათ, მათ ბრძოდეს.
ხოლო უკანასკნელ ყოველნი მოზარბაზნენი თვის-
ითა მოსწყდეს ერთობლივ, ზარბაზანთა თვისთა თანა,
კვალად მოსწყდეს სხვანიცა ჩინებულთაგანრცა. კაცნი
მხნენი და სხვანი მებრძოლნი ეგოდენი მოსწყდეს
ქართველთა, რომ ას ორმოცდა-ათი კაცი-ძა დარჩა
ერეკლე მეფის დასში და ესენიც მეფის გზას გაუდ-
გნენ, მეფის დასაფარავად, დავით ბატონიშვილის
მხრის ჯარი-კი მაინც ბრძოდა უკანასკნელ სისხლის
წვეთამდე, ბრძოდა სალამოს უამამდე; ესენიც დაი-
კოდეს. ვინც დარჩა, იმათთან ერთათ დავითიც გან-
ვიდა ტფილისით დასაფარავად.

ტფილისი სპარსთა აიღეს ალა-მაჰმად-ხანი ტფილისში
შემოვიდა, წინ განჯის ხანი მოუძღვიდა ჯავათ-ხანი;
ზიადოღლად ხმობილი და ორი სომხის მელიქი. ამათ
მეფე ერეკლეს სასტიკად ულალატეს, რადგანაც მათ
ჯავრი ჰქონდათ მეფე ერეკლესი მის გამო, რომ
მეფეს განჯა და ერეკლი ემორჩილებოდა და წელი-
წალში რვა ათას თუმანს ხარჯს იხდიდა. ერეკლე
მეფეს სომხების განთავისუფლება იატათ არ დაუჯდა,

განჯის და ერევნის ხანს ჯავათს 32 ათასი ქართველი შეაკლა და რვა ათასი ურემი მიამსხვრია თავის ხარკამბეჭით.

ტფილისი მთლათ ცარიელი დახვდა. ყეინი გაჰკვირდა ამაზედ, მაგრამ არც ისე დაბრკოლდა, რადგანაც ქართველთ ტყვენი მრავალი ჰყვანდა. აღა-მაჰმად-ხანმა გასცა ბრძანება ჯარში და ტფილისის სახლები დააძარცვინა, მერე თვით ნახა მეფე ერეკლეს სახლი და მთლათ გაძარცვა, შემდეგ ამისა ნახა ქართველთ სამართველოები და თოფხანები და ყველა ესენი ააკლებინა, მდივან-ხანა გადაწვევინა მრავალ ალაგას. ამას ყარაბაღელი მტრები უჩვენებდნენ ქართველთა საქმეების სასახლებსა და ვითარებასა. მერე ნახა მეფის აბანო. მერე შევიდა სიონში და დაახოუნდა იქ მრავალნი ქართველნი და დოსითეოს ნეკრესელი ხმლითა და ჯვრით ხელში ჰვლაბართან მტკვარში გადააგდეს. ასე აღსრულდა იმ ჩინებულ მწიგნობარ მღვთის მეტყველ პატრიოტ მღვდელ მთავრის სიცუცოცხლე, რომელმაც თავის გონება დალალა ქართულ ენაზე სამეცნიერო წიგნების თარგმნაზე და რომელმაც განაბრწყინა კახეთში სამრევლო სკოლები, მოსპომკითხაობა თავის სამწყოსში, და განანათლა თელავის სემენარია, იყო დიდი საყვარელი ონტონ დიდისა.

სპარსთაგან სულ ოც და ცამეტი ათასი მეომარი გაწყდა. ქალაქის აოხრების შემდეგ ყეინმა თან წაიღო ქართველთა არტილერიის მაშინები, სხვა-და-სხვა იარაღები, პატიმარ-ჰყო არტილერიის მცირე.

კაცნი, ჭარბაზნის მკეთებელნი, მსროლელნი, ყველა
ესენი სპარსეთში წაიყვანა, იქ გააკეთებინა არტილე-
რიის სახლი, იგი კაცები დაადგინა გამგედ, გაათათრა,
საცხოვრებელი მიუჩინა და თავის საქმეები განაძრი-
ელა. ჩვენ აქ ბევრ რამეს არ შევეხეთ, ნამეტურ
მასზედ თუ აღა-მაჰმად-ხანი ტფილისიდგან მცხეთისკენ
როგორ გაემართა და მიმოვლო, იქაური სოფლები
და როგორ აღაოხრა.

ომის გათავების შემდეგ მეფემ ერს ტფილისად
მოუწოდა. მოქალაქენი მოვიდნენ, ქალაქში მოშენება
იწყო. სამეფო ბრძანებით საქართველოს სხვა-და-სხვა
კუთხეებიდამ ტფილისში დღეში რვა-ასი ურემი შე-
მოდიოდა და ამათ შემოჰქონდათ სურსათი, სხვა-და-
სხვა ნაირი საქონელი, იარაღი. და მეფის ბრძანებით
ურიგებდნენ უფასოდ ქალაქის მცხოვრებთ. ამ საქ-
მეების გამო მეფესა და სოლომონ მსაჯულს უსია-
მოვნებაც მოუხდათ, ამათის უსიამოვნების ჩამოგდების
მიზეზი სულ ქალაქის ხალხი გახდა. პ. იოსელიანის
სიტყვით, ეჩმიაძინს მეფემ სესხად 800 თუმანი
გამოსთხოვა და ეს ფული თბილისის ხალხს დაუ-
რიგა. მეფემ მთელის თავისის სახლეულობის ოქრო-
ვერცხლის ფული. მოაჭრევინა და ვაჭრებს დაუ-
რიგა.

მართალია, თუ არა იგერლების დალათი აღა გაჰებად-ხანის შემოსვევის დროს?

რაც ერთის თაობისაგან ჭეშმარიტებით
არის ცნობილი, ხშირად ის შემდეგის
თაობისათვის საეჭვოდ ხდება, რადგა-
ნაც ისტორიაში ყველაფერი ნელ-ნელა
ნათლად ირკვევა.

დრეპერი,

აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებში გავრა-
ცელებულია შემდეგი ხმები:

იმერლებმა მეფე ერეკლეს აღამაშიად-ხანის ოში
ულალატესო ,მიშველების მაგიერ ტფილის ქალაქს
დაეცნენ და გაძარცვეს, ხალხი დაიტაცეს და ტყვეთ
წაიყვანესო. ეს არ იქმარეს მათაო, გზად მიმავლებმა
ქართლის სოფლებს დაუწყეს ძარცვა და რბევაო.
ბევრი ტყვეც დაიტაცეს, ხხალციხეში გადარეკეს და
ოსმალებზედ დაყიდეს, დაყიდულში აღებულ ფულის
ნახევარი თვით დაიტოვეს და ნახევარი მეფეს მიართ-
ვესო..

ბოროტი პირები მოგვითხრობენ, რომ ვითომეც
მფლე სოლომონმა ეს ფული მონასტერსა და ბერებსა
შესწირა. ამ ცრუ ლალატის შესახებ ბევრს კიდევ

სხვა რამეებს ლაპარაკობენ ხოლმე, მაგრამ ჩვენ ეს
ვიკმართოთ. იმას-კი ვიტყვით, რომ ამ ცრუ და მშრა-
ლად მოგონილ ღალატის შესახებ ადრე მხოლოდ
ჩვენი ზოგიერთი ძველი უვიცი კაცები ლაპარაკობდ-
ნენ, რომელნიც ისტორიულს ცნობებს უმართებუ-
ლოდ რევიზენ ხოლმე. მათ შემდეგ განვლო დრო
და უამშან, დრო შეიცვალა, სწავლა-მეცნიერება გამე-
ფდა, ისტორიულმა მწერლობამ საკმარისად წინ წასდგა
ფეხი, და ამ ისტორიულის მწერლობის ასპარეზზედ
თამამად გამოვიდნენ ზოგიერთნი ისეთნი გვამნი, რომე-
ლობაც თამამად იწყეს საუბარი და მტკიცება მასზედ, რომ
იმერლებმა არამც თუ მარტო მეფე ერეკლეს უღალა-
ტეს, არამედ მათ დალუბეს საქართველო და უველა-
ფერი ფერფლად აქციესო; ამ საჭმის ხსოვნა საყოველ-
თაოდ დაშთება ქართველთა შორის საგმობლათაო;
ვითომც ქართლელი პატარა ბავშვები იმერელ ბავშ-
ვებს დღესაც-კი აყვედრიან ზემოხსენებულს ღალატს
და ერთმანეთიც სძულო, ესევე აზრი დღეს მრავალ-
თაგან იქმნა მოგონებული და რმერეთის ერი სას-
ტიკად გაკიცხული. ორთაჭალაში ზოგიერთ სუფრა-
ზედ იმერთა ჯარის საგმობელიც-კი დალიეს. თვით
იმერთაც-კი შეეზიზლათ იმ დროის იმერთა ჯარი.
სწორედ ბ-ნ ივ. მეუნარგიას თანახმად მოიხსენეს ამ
დღეებში სომხურ გაზეთ „არძაგანქშიაც“. სომხურის
წერილის დამწერი სწერს, რომ 10 სექტემბერს დარე-
ჯან დედოფალი გაიქცა, 11 სექტემბერს მეფე ერეკ-


ლე გაიქცა, 12 სექტ. იმერლებმა ავაზაკობა იწყეს
და მთელი ტუილისი აიკლეს და გაძარცვესო.

ასეთის ცნობებისა და ხმების გავრცელება თუ
მართალი არ არის, გარდა იმისა, რომ სამწუხაროა,
დასაგმობი და საძრახისიც არის: რადგანაც იმ გან-
წირულების დროს ძმისაგან ძმის ღალატი განუკითხა-
ვად და შეუნდობლად დაშთება, მას გასამართლებელი
საბუთები არა ექმნება-რა, რაც გინდ გასამართლებე-
ლის პირობებით იყოს იგი ღალატი გარემოცული.

იმერის ანუ იმერეთის ხმარება ჩვენში შემოვიდა

X საუკუნის შემდეგ:

ჩვენის ისტორიით ვიცით და მართალიც არის,
რომ ჩვენ იმერ-ამერნი ერთმანეთში ხშირად ვჩხუბო-
ნდით ხოლმე, ხშირად მთა მთას ებრძოდა, ბარი ბარი,
თავადი თავადს; მაგრამ იმავ ჩხების დროს ჩვენ მაინც
ერთნი ვიყავით. ჩვენ ყველას ერთი გაჭირვება გვადგა
კარსა და როცა გარეშე მტერი მოვვესეოდა, მაშინ
ჩვენ ყველა ჩვენს კერძო პიროვნულ ანგარიშებისაგან
გამოწვეულს ბრძოლას ვივიწყებდით და მტერს შეერ-
თებულის ძალით ვუხვდებოდით წინ საბრძოლველა-
და. ასეთი ერთობის საჭიროება ქართველთა. **XVIII**
საუკ. უფრო იგრძნეს, ნამეტურ მას შემდეგ, როცა
იმერეთის წარჩინებულნი პირნი ერეკლეს იმერ-ამ
ერთის დავკაშირება სსთხოვდნენ, როცა ამ საქმისათვის
მქუხარად ღალადებდა ბრძენი და უბრძნესი ყმობადის
კარგად მგრძნობელი და ერთგული სოლომონ მსაჯუ-
ლი, ათანასე ბერი, ჭაბუა ორბელიანი, პატრი ნიკო-



ლა, ანტონ კათალიკოსი, ზაქარია მოურავი, სარიდან ჩოლაყაშვილი, იოსებ ბარათაშვილი, იმერთა დესპან-თაგანნი ქუთათელი, გენათელი, აბაშიძე და სხ. დაუ-ცხრომლად იღვწოდნენ და იმერთა აზრს აკურთხებ-დნენ და აქებდნენ.

იმერთა ერთობის ნატვრა მთელს ქართლსა და კახეთში მოიფინა, მთელი ქართლი აქებდა იმერთა ერის განზარახვას და ნამეტურ დეპუტატთა შორის გენათელის და ქუთათელის ღწვას. ყველა ქართველი მიხვდა ცხადად, რომ უკანასკნელ საუკუნეში მათვის ისე აღარაფერი იყო საჭირო, როგორც ერთობა.

მართალია, იმერეთის ერის დიდებული წადილი ვერ აღსრულდა და ქართლი და იმერეთი ერთმანეთს ვერ დაუკავშირდა, მაგრამ ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ ამ დიდებულის წადილის ხსოვნა და პატივის-ცემა-კი ქართლისა და იმერეთის ერში თვით ამ საუკუნის პირველ წლებამდისაც არ მოსპობილა: თვით გიორგი მეფესაც კი ავეღრებდნენ ქართლ-იმერელნი გარე ერთობის მაგიერ შინაურს ერ-თობას, მაგრამ ეს ვერ მოხდა... იმერთა და ქართ-ლელთა დიდს სიყვარულს ცხადად ამტკიცებდნენ ერეკლე მეფეს და სოლომონ მეფის შუა წერილების მიწერ-მოწერა, ასევე ქართლისა და იმერეთის ბატონიშვილე-ბის წერილები. ვინც ამ წერილებს წაიკითხავს და გაიცნობს, ის ცხადად დარწმუნდება მასზედ, რომ ქართლელთა და იმერელთა შორის იმ წლებში ნამე-ტურ 1795 წელს ისეთი რამ მტკერობა არაფერი

უნდა ყოფილიყოს, რასაც ზოგიერთი ბრძანებენ.

ქართველთა და იმერთა დიდებულთა პირთა დიდებულ რჩევის შემდეგ არ გადის დიდი ხანი, რომ მეფე ერეკლეს კარს ადგება მტერი. მეფე ერეკლე თავდარიგს ეძლევა. აქეთ-იქით გზავნის კაცებს და შველა სთხოვს, ჯარის შეკრებას, მოშველებას. ასე-ვე სთხოვა რუსეთს და იმერეთს.

რუსეთიდამ დაპირდნენ შველას, გამოუგზავნე 2000 კაცი, თან გამოაყოლეს პოლკოვნიკი სერიაკევი. მაგრამ ამათ გზაში დაიგვიანეს.

იმერეთიდამ ვითომც დაპირდნენ 10,000 კაცს, წერილით ასე აცნობეს მეფე ერეკლეს, მაგრამ ამის მაგიერ მოვიდა მხოლოდ 3000 იმერთა დაშქარი. სწერს დუბროვინი.

იმერთა მეფემ მეფე ერეკლეს გაჭირება იმერეთში სახალხოთ განაცხადა, ერს აცნობა ქრისტიან ქართლელთ თხოვნა. ამიტომ იმერთაგან შეკრებილ იქნენ მეტად რჩეულნი ვაჟკაცნი 3000, ესენი ორ დასათ გაიყვნენ, 1500 კაცი ერთის გზით წამოვიდა და მეორე სხვა გზით, ეს ორივე ლაშქარი ტფილისში ერთად შემოვიდა. იმერეთის ჯარს წინა მძღოლათ თვით მეფე სოლომონი გამოჰყა და თან ზურაბ წერეთელი ახლდა.

იმერთა ჯარის მოსვლის ამბები ქართლელთ მალე სცნეს და სიხარულით აღივსნენ; მეფე ერეკლე აღტა-ცებული შეიქმნა, იმედი მიეცა, რომ შტერს დავა-მარცხებთო, იმერთა შემოსვლის დღეს მეფე ქალაქ გარეთ გაბრძანდა, თან ქართლელთა დიდებულნი გაჰყ-

ვნენ და მღვდელ-მთავარნი. იმერლებს სიხარულით შეხედს, აგრეთვე იმერთა. მღვდელ მთავარმა აკურ-თხა მათი ერთობა. შემოსვლის შემდეგ მეფე ერეკლემ ჯარს მასპინძლობა გაუწია, დიდი ლხინი გამართა, წულურეთის ხევის ზევით, მთაზედ. სიხარულის სამახ-სოვროთ ზარბაზნებიც ისროლეს. ქართველებთაგან იმერლების ქსეთი მიღება, სალამი და სიყვარული გახდა დიდის ერთობის ფუძეთ. პურის მირთმევის დრ-ოს ერთმანეთს ფიცი მისცეს. ასევე შეჰვიცეს ერთმა-ნეთს ერეკლე მეფემ და სოლომონმა.

მღვდელ-მთავარმა ანტონიმ აკურთხა ორივე ჯარის ერთი აზრი. მაშინ გაიხსენა მეფე ერეკლემ შემდეგი:

—როცა იმერთა დიდებულნი ქართლ-კახეთის დაკავშირებას ითხოვდნენ იმერთანა, მაშინ მე მოვა-ხსენე, რომ დაკავშირება ჩვენი დიალ ძნელი საქმეა, მე ირანის ხელ-ქვეითი ვარ და თქვენ ოსმანის, ირა-ანი მე მმტრობს და ეს საქმე რომ მოხდეს, მაშინ ოსმალიც ამემტერება. ამიტომ ვთხოვ მოცდას.

საქართველო მრავალ გზის იყო ერთ გვირგვი-ნოსანის მეფის გამგეობის ქვეშ. იმ დროის ქართველნი დიდად ძლიერნიც იყვნენ, მაგრამ რა-კი მათში და-ქვეითებული იყო ერთობის სიყვარულის ძალა, ამი-ტომ იგინი ვრდომას მიეცნენ და უკანასკნელ გულ-მოსაკლავათ დანაწილდნენ, ეს მაფიქრებდა. მე და მაღარდებდა.

მე ასე ვსთქვი, — რომ დევ იმერეთის ბატონი

დარჩეს ბატონით, მე იმას არ წავედავები, არც მისი ტახტი
და გვირგვინი მინდა, მხოლოდ ერთმანეთის სიყვარული
გვქონდეს და ერთმანეთის მტრებს ერთობით შევებრძო-
ლოთ. მე ახლა უკვე ვხედავ ამას, რომ იმერთა
პატიოსანთ გვამთა ღვთიური ფიცი საქართველოისა.
მტკიცეთ შეუნახავთ და აი ამ გაჭივრების დროს
ჩემთან მოსულან დასახმარებლად. აი ბატონებო და
ძმებო, ამაში გამოიხატება ერთობა და სიყვარული,
ჩვენი ქართველობა და ერთსულობა, ერთი მეგვარ-
ტომობა და საქართველოსთვის ერთობრივ ზრუნვა
და არა სხვაფერ მოხელეობითი გამგეობის ქვეშ შეს-
ვლას, და დამონებაში, სადაც ხშირად შფოთი, განხე-
თქილება და ხელ-აზალი დარღვევა და დანაწილება
ხდება.

ქართლელოთ და იმერელოთ ესეთი ერთობის პი-
რობა შეჰქრეს თვით იმ დროს, როცა იმერთა დეპ-
უტატნი ტფილისში მობრძანდნენ. ამ ერთობის პირს
პ. ოსელიანიც გამოხატავს „გიორგი მეფის ცხოვ-
რებაში“, ქართველნი და იმერელნი ისეთის სიხარუ-
ლით აღივსნენ თურმე, მეფე ერეკლეს აზრი მათ ისე
ჭოერწონათ, რომ ტფილისის ქალაქის ქუჩებზედ ყველ-
გან მხიარულება მოხდა. შორს გამჭვრეტი და უბრ-
ძნესი სოლომონ ლეონიძე აღტაცებული დაშთა, სიხა-
რული აღემატა.

მეჯლისი გათავდა. იმერთა ჯარმა მოისუენა.
გათენდა დილა. ჯარი ადგა, საუბედუროდ მათში
მრავალნი ავადმყოფნი აღმოჩნდნენ, ზოგიც მეტად

მოლალვა- მოქანცვისაგან დასუსტებულიყო, ავადმყოფები ჯარიდგან გაარჩიეს და აბანოების მახლობლად დააბინავეს და ექიმი და წამლები მიაშველეს. მალე ომის დასაწყის დღეც მოვიდა. იმერეთის ჯარი ორ ნაწილად გაიყო. 1500 კაცი ორთაჭალის ბალებით სოლანლულისკენ გაემგზავრა, სოლანლულის მთის იქით უნდა დამდგარიყვნენ, რადგანაც სპარსთა ჯარის ერთი ნაწილი თელეთსა და შავნაბადას. შუა მდგარა. მეორე ნაწილი იმრეთა ჯარისა დარჩა მეფე ერეკლეს მახლობლად და ესენი დადგნენ კრწანისის მინდვრის ახლო.

სამხედრო საქმეთა მცუდნე გვამთაგან იმერთა თვის ზურაბ წერეთელი კრწანისის იმერთა ჯარისთვის იქმნა განწესებული და სოლომონ მეფე სოლანლულში მდგომარე ჯარისთვის. ზურაბმა ომის დაწყების დროს ავადმყოფობა მოიგონა ასე:

— ნისლმა და წვიმიანმა დღეებმა მაწყინეს, მუცელკეთილი მაქვს. ომს ვერ შევძლებ დღეს!

იმან არც შემდევ იომა. ზურაბის უარი იმერთა მეფესა ძლიერ ეწყინა, მაგრამ რას ეტყოდნენ. ავადა ვარო, თან ამრეზილიც იყო.

ომი ხუთს დღეს განეგრძო. ამ ომში იმერთაგან გაწყდა 1500 კაცი. 40 აზნაური, 10-ამდე თავადნი და დანარჩენი გამოჩენილი გლეხთა გმირ-ვაჟკაცები. იმერთა. მეხუთე დღეს, ესე იგი 14 სექტემბერს ომი აღარ იქნებოდა, ტფილისს სპარსნი აიღებდნენ. ეს ცხადი საქმე იყო, რადგანაც ქართველთა მხედრობა

გაწყდა და ვინც დაშთა, მათაც ლტოლვა იწყეს.
დავით ბატონიშვილმაც წავკისის გზით ლტოლვა იწყო
და ზარბაზნების დაფლვა მიწაში. ომის საქმე მიი-
ლულა, ტფილისს დაპყრობა მოუახლოვდა.

უკანასკნელ ომის დღის დილას იმერთა ჯარმა-
თათბირი ჰყო და არჩიეს თავის გადარჩენა. იმერთა
ჯარი დილითვე მიეცა გასვლის თავდარიგს და ეს-
ენი მზის ამოსვლის შემდეგ განვიღნენ კიდევაც; მალე
შევიღნენ ტფილისში, მივიღნენ თავიანთ ავაღმყოფ
ჯართან და მათში ვეღარც ერთი ცოცხალი ვეღარ
ნახეს, ყველა დახოცილები ეყარნენ. შესწუხდნენ
დიდად. მაგრამ რას იზამდნენ. ერთმა სთქვა:

— ტფილისს დღეს სპარსნი აიღებენ და მიცვა-
ლებულნიც მათ ფეხქვეშ გაისრისებიან, მოდით და
ეს მკვდრები ამ ხილიდგან წყალში ჩავყაროთ და მით
განვარინოთ მტრის ფეხ-ქვეშ წვალებას.

ეს აზრი მოიწონეს მრავალთა და უცბად იწყეს,
დაბახანის ხილიდგან იმერთა ვაჟკაცთა გვამების გადა-
ყრა. დაბახანის ღელე მაშინ დიდი ყოფილა და იგი
თურმე საჩქაროდ ეზიდებოდა ამ მიცვალებულთა
გვამებს და მტკვრის ზვირთებს აძლევდა.

ბევრი ჩინებული გმირი ვაჟკაცი გაწყდა იმერთა
ამ ომში, ბევრმა დასდვეს მამულისათვის თავი, ბევრმა
შესწირა თვისი ტკბილი დღენი გარეშე მოსეულს
მტრებს, ბევრნი იმერთაგანნი იქნენ ამ ომში ნაჭერ-
ნაჭერ დაჭრილი და დაკუწულნი. სახუმარო საქმე

არ არის 1500 კაზე მეტის რჩეულის გმირების დაღუ-
პვა ბრძოლის ველზედ.

დღეს-კი ყველა ასეთ თავდადებულ გმირებთა
ღვაწლს პატივისცემის მაგიერ აღმოსავლეთ ქართვე-
ლებში რაღაც უჯერო ხმებია გავრცელებული; თავდ-
ადებულ გმირებს ღალატს სწამებენ, ქვეყნის გაცემას
და თითქმის საქართველოს დაღუპვასაც-კი, ამას ლა-
პარაკობენ ყველანი, არა მცოდნენი და მცოდნენიც.
ზოგიერთმა განათლებულმა ვაჟბატონებმა ჩვენებურ
გაზეთების ფურცლებზედაც გაითარეშეს და იწყეს
ამაების მტკიცება.

იმერთა თავდადებულ გმირთა შესახებ ცრუ-
ცნობები და ხმები გავრცელებულია ისეთ მეისტორიე
და მელექებისაგან, რომელთათვისაც არც რამ სიმა-
რთლე იყო საჭირო, არც ისტორიული ჰეშმარიტება,
არც ისტორიის პატივი-სცემა, არც ლოლიკა, არც
საქმის მკაცრად და კრიტიკულად განხილვა-განჯა. ესე-
ნი გაიძახოდნენ:

— იმერელებმა მეფე ერეკლეს უღალატეს, ქარ-
თველები დაღუპეს, ქალაქი აიკლეს, სპარსთა იმდენი
ვერ ავნეს ტფილისს, რაც იმრლებმა. იმერლებმა
ტფილისი 12 სექტემბერს. აიღეს და სპარსელებმა
14 სექტემბერს. სწორედ ასევე მოიხსენა ამ დღებში
სომხის მწერალმა ერიცოვმა სომხურ გაზეთ „არძაგნ-
ქში“ და იმერლების საქციელს ავაზაკობა უწოდა.

ამისათვის საჭიროა საქმის დაკვირვება, ისტო-
რიულის ცნობების გარკვევა და ისე საუბარი და:

გმობა. იმერთა მეომარ გმირებისა, რომელთაც ქართლ-, კახეთის ჯართან ერთად დიდის გმირობით შეეწირნენ თავიანთს სამშობლოს. 1500 კაცის მოგონებაც კარა იმერეთის სადიდებლად და პატივსაცემლად. ამ 1500 კაცში ბევრი შესანიშნავი ვაჟკაცი ყოფილა იმერთა. უკანასკნელ თურმე ომში იმერეთის ჯარი ქართლის ჯართან არეული იბრძოდა; ესენი მხოლოდ ბრძოლის შემდეგ შეიკრიბებოდნენ ერთად. კრწანისის ველზედ მყოფი იმერთა ჯარი მთლად გაწყდა. დარჩენენ მხოლოდ სოლანლულის ველზედ მეომარნი, რომელნიც მაღე მოტრიალდნენ კრწანისისაკენ, რადგანაც მტრის ძალამ აქეთ მოაშურა.

იმერეთის გმირების და ლაშქრის წინააღმდეგი ცნობების გავრცელება აი ვის ეკუთვნის:

ერევნელ მეხაშე და მოზღოველ ხაბაზ არტემ არარაცის, რომლის ნაწერების მნიშვნელობა ამ ბოლო წლებში თვით სომხებმაც-კი დაარღვიეს ბეჭვდით დაუარ-ჰყვეს.

ვიღაც თანამედროვე მეისტორიე ვოსკერჩიანს, რომლის ცნობებით ბ. მეუნარგიამაც იხელმძღვანელა. უკეთესს-კი იზამდა ბ-ნი იოან მეუნარგია, მარტო ის კი არ ეთქვა რომ იმერეთის ჯარის ღალატი საშვილი-შვილო მოსაგონრად დაშთებაო, არამედ აღენუსხა თუ ამ ჯარმა რა და რა საქმეები ჩაიდინა ცული.

მელექს სტეფან თერშანგს, რომელიც გააბრიყვა და შემალა კუზიანმა დარჩიამ.

ვიღაც ბებუთაშვილი, რომელიც ლექსებს სწერდა და ამან იმერლების ღალატი ლექსად ასწერა.

ხოლო ეს დალატი თავის თვალით-კი ვერ ნახა,
თვით უფრო მეტი ულალატა მეფეს, ეს ერეკლე მეფემ
კარგად შეუტყო და ტფილისის ნაცვლობაც ჩამო-
ართვა.

იოსებ არღუთინსკის, რომლისთვისაც ისტო-
რიული ცნობები მტრობიდამ, ქიშპობიდამ და საჯიბ-
რო ზღაპრებიდამ იბადებოდა, რომელმაც ქართველებს
საქმარისი სამსახური და მტრობა გაუწია.

გუდოვიჩს, რომელსაც ხაბაზის არარაცის,
იოსებ არღუთინსკის და ასეთ პირების მომხრეებთაგან
მოხსენდა ცრუ ცნობები.

ბუტკოვს, რომელმაც არარაცის ნაწერებიდგან
გაღილო და თავის თვალით-კი არა ნახა-რა.

დუბროვენს, რომლის ცნობებიც მტკნარს
სიცრუეს წარმოადგენს და თან მეტად საოცარს და
გასაკვირველსაც, რომ ამ პირმა ისე უშვერად როგორ
მოიხსენა იმერლების ხსენება თავის თხზულებაში,
მაგრამ რას ვიზამთ დუბროვენმაც არარაცის, არ-
ღუთინსკის და ასეთ პირების ნაწერებიდგან ისარ-
გებლა.

დუბროვინი ამტკიცებს, რომ ვითომც იმერ-
ლებმა ერეკლე მეფეს 10, 000 ჯარის კაცს დაჰპირ-
დნენ და ამის ნაცვლად მხოლოდ 3000 კი გამო-
უგზავნეს. ასე მოატყუილეს იმერლებმა ქართველებით.
არ უწყი დუბროვინს რომელმა ქერთველმა მდივანმა
უამბო ეს?

იმერლების მოსვლა ტფილისში ისეთივე მოსე-

ვა და თავ-დასხმა იყო ქართველებისათვის, როგო-
რიც აღა-მაჰმად-ხანისაო, ბრძანებს დუბროვინი. ჩვენ
არ ვუწყით, საიდამ, რითი და როგორ, რატომ არ ასა-
ბუთებს ამას. სწორედ ასევე აღიარა პატივცემულმა
აღ. ერიცოვმა „არძაგანქში“. ეს სწერს, რომ ტფილისს
იმდენი სპარსელებმა არ ივნეს, რამდენიც იმერლებ-
მაო. ამათ დააკციეს ქალაქი, დაანაცრეს სახლები.
და აიკლესო. ნეტამც მთლად დაეწვათ და სპარსე-
ლებისათვის არაფერი ძალა დაეტოვებინათ. მაშინ
სპარსნი ტფილისიდამ ქართლისაკენ ფეხსაც ვერ გა-
სდგამდნენ, რადგანაც მათ სურსათი არ ექნებოდათ,
მაგრამ ეს ასე ვერ მოხდა. იმერლებმა ტფილისი მთლად
ვერ აიკლეს, ამათ ბევრი რამ დარჩათ, ეს ხელთ
იგდეს სპარსელებმა, ამათ მოიცვეს ძალა, მერე
ტფილისიდგან ქართლს შეესივნენ და მუსრვა და
ტყვევნა დაუწყეს.

იმერლებში ტფილისი აიკლესო, 10,000 კაცამ-
დის მოიტაცეს და ოსმალში დაყიდესო. მე არ მჯე-
რა, რომ 1,500 კაცს იმერლებს 10,000 კაცამდე
მოეტაცნოთ, ქართლიდამ წაეყვანოთ და ოსმალში
დაეყიდნოთ! სად იყვნენ ამდენი ქართველნი, რომ
იმერლებს ჩაუვარდნენ ტყვეთ და ბრძოლის ველ-
ზედ-კი არ გავიდნენ, ან იმერლები ისე როგორ გა-
თახსირდნენ, ისე როგორ წახდნენ და მტრებად იქც-
ნენ, ისეთი რა შეუბრალებელი ქვის გული მოეცათ,
რომ თავიანთ მოძმე ქრისტიან ქართველებს ასეთი
განწირულების დროს ასე უღალატეს, ტფილისი გა-

ძარცვეს, სოფლები, საქონლები დაიტაცეს, ეს არ
იკმარეს და 10,000 ტუვეებიც დაიტაცეს და ყველა
ესენი ოსმალში გადარეკეს და დაყიდეს!

ღმერთო, გვიხსენი ასეთის მტრებისა და ცი-
ლის-წამებისაგან. მე არ ვუწყი, თუ ასეთის ცრუ
ხმების მოგონება რამ გამოიწვია ზოგიერთ პირებში.
და ვიტუვით თავისუფლად, რომ უფრო მტერობით-
კი, რომ ამ ცრუ ხმებით ქართლისა და იმერეთის
ერში შური დაითესოს, მტრობა გამწვავდეს, ამ
მტრობით მათი ერთობა დაირღვეს... რომ ყო-
ველივე ჩვენი მოსაზრებანი მართალია და ტყუილი
ცილის წამებაა ის, რასაც იმერეთის ჯარის შესახებ
მოგვითხრობენ, ამას ჩვენ აქვე დავამტკიცებთ, რად-
განაც ამ საგმობელ ლალატის, შესახებ არც ერთ
ჩვენს მწიგნობარს მდივან-მწერლებს, მეისტორიებს,
და მელექსეებს არაფერი აქვთ მოხსენებული. ამ ლა-
ლატის შესახებ არას მოიხსენებს ომან მდივან-ბეგი,
ხერხეულიძე. არც იონა-ბერი ხელაშვილი, რომელ-
მაც ასწერა 1795 წ. ომი. არც ეგნატე იოსელია-
ნი, რომელმაც თავის თვალით ნახა ყოველივე და
აღწერა. არც გამალიელ ბერმა, რომელმაც შემოკ-
ლებით ასწერა ეს ამბავი. არც არსენ ბერმა, რომე-
ლიც ანტონ II-ს რუსეთში გადაჰყვა და 1824 წ.
იქ საქართველოს ისტორიის წერაც გაათავა. არც
„ქართლის ცხოვრების“ დამატება მოგვითხრობს ამის
შესახებ რამეს. არც სოლომონ დოდაშვილი, რო-
მელმაც გაკვრით აღწერა ხსენებული ამბები. არც

აღექსანდრე ორბელიანი, რომლის აღწერის ზოგი ახლა დაიბეჭდა „მოამბეში“, არც პლატონ იოსე-ლიანი, რომელმაც ბევრი რამ დასწერა საქართვე-ლოს ისტორიის შესახებ.

არც ბროსემ, რომელსაც ბევრი რამ წერილე-ბი დარჩა საქართველოს შესახებ.

არც ჩუბინოვს, ნიკოლოზ ბერძენივს, სულ-ხან ბარათა შვილს, დიმიტრი ყიფიანს და ბევრს კი-დევ ჩვენს ძველსა და ახალს მელექებს, ნამეტურ ბესიქს, (ბესარიონ გაბაშვილს), რომელმაც მრავალ-ნაირად აღწერა ერეკლეს ომების ქება დიდება. არც ნიკოლოზ დადიანს, რომელმაც გვარიანად აღწერა იმერეთის ისტორია. გარკვევით და რიგიანად არც დავით ბატონიშვილსა აქვს მოხსენებული რამე თა-ვისს ისტორიაში.

არც თეიმურაზ ბატონიშვილი მოიხსენებს. რი-გიანად და საფუძვლიანად.

არც იონა ბატონიშვილი თავისს ისტორიის გაგრძელებაში.

და არც მრავალნი სხვანი, რომელთაგან ზოგ-ნი ჩვენის სამეფოს მდივნები იყვნენ, ზოგნი მელექ-სენი და ზოგნი მეისტორიენი, რომლებთაგანაც ჩვენ ერთობ ბევრი მასალები გვაქვს დარჩენილი, დარწმუ-ნებით ვიტყვი, რომ იმერეთის ჯარის დალატი მარ-თალი იყოს, მაშინ ეს ხსენებულნი პირნი ამ საქ-ციელს უსათუოდ მოიხსენებდნენ, ერთ ბეწო საქმე-საც არ დასტოვებდნენ აღუნუსხავად. მაგრამ რაც

არ მომხდარა, იმას ესენი თავიანთის ტვინით ხომ ვერ შესთხუზავდნენ.

თუ რა ჯურის ხალხს ეკუთვნის ზემოხსენებულის ჭორების მოგონება-და გავრცელება, ამის შესახებ ჩვენ ზემოდ მოკლედ მოვიხსენიეთ ორი-სამი პირი და თუ საჭირო იქნება, მაშინ ჩვენ მეტსაც დავასახლებთ. იმერთა გმირების უბრალოდ მოხსენებას ჩვენ არავის მიუტევებთ. ეს არც რიგია. მიტომ რომ ყოველივე გმობა და ძაგება ამ პირებისა არის ცრუ ხმებზედ აშენებული და გავრცელებული.

ახლა ჩვენ აქედამ მიუბრუნდებით კითხვებს და გამოვარკვევთ შეძლებისა-და გვარად, თუ როგორ იყო საქმე და ან რა საფუძველზედ უნდა შენდებოდეს იმერეთის ჯარის ღალატის დაწამება.

ისტორიულმა მასალებმა დაგვმტკიცეს შემდეგი: აღა-შავარდ ხანის ომის გამო ტფილისის ხალხი შეშინდაო, მეფე ერეკლეს მტრები ხალხს დახიზვნას ურჩევდნენ სოფლათაო. უკანასკნელ მეფემაც ასე ურჩია ერსაო. მთელი ტფილისის ხალხი გაიხიზნაო. მთიულეთს, ანანურს და კავკავისკენ წავიდნენო, ტფლისში დასტოვეს თითო კაცი მცველად დიდრონის სახლების, ქარვასლების, ქარხანების და ეკულესიების. ასე რომ მთელი ტფილისი ხალხისაგან დაცალიერდა, შიგ არავინ იყო ფარსაგი დაშთენილი. ვინც იყვნენ, ისინი სულ მოხუცნი და საჭყარნი.

ასეთივე რჩევა, მიეცა ტფილისიდამ სოფლელებსა, სოფელ წეროვნამდის სოფლის ხალხთა დასტოვეს სო-

ფლები და შევუვალ მთებში ივლტეს დასამალათ. მათ ყველაფერი სურსათი და საქონლის ბევრი რამ სოფ-ლათ დარჩათ, რაც ხელათ მოსაწერს, ის წაიღეს თანა. ტფილისიდგან გორამდის კაცი სოფლებში ვერსად რას ჰპოვებდა, გარდა პირუტყის და სახლ-კარ საქონლის.

იმ ამბების წინააღმდეგი ხომ არც არარაცია არც ვოსკერჩიანც, არც ფერშანგი, ერიცოვი, დუბროვინ, ბუტკოვი, და ათასიც სხვანი. იმერთა ჯარში ომში მხნეთ იომა. მეორე დლის ომში იმერთა ჯარის რამდენიმე კაცი მეფე ერეკლეს გვერდით იდგნენ. ესენი გმირულათ იბრძოდნენ. მეფე ერეკლე გაჰკვი-ირდა. ქართველნი გაოცდნენ. ამ დროს ერთ სპარსთ მხედართაგანმა ყვირილი შექნა:

„ჰანიერ ირაკლი ხანო“ ვინ არის ერეკლე მეფეო?

ერეკლე მეფე შეხდა მას, საჩქაროდ თოფი ეს-როლა და ის კაცი დაჰკოდა.

იმერთ იკივლეს: ხმალი მასო, თავი მოეჭრასო; ერთ იმერელ გმირთაგანი ფრინველივით გაიქცა. და იმ სპარს თავი მოსჭრა. ამ გმირმა დიდი გამზედაობა გამოიჩინა. მან თავი გაიმეტა, რადგანაც სპარსი ახლოდგან უმზერდნენ, შესაძლებლი იქნებოდა, რომ იგინი მოსწრებოდნენ და მთლათ ცოცხალი დაე-ჭირათ.

იმერთა ჯარის მხნეობა აღა-მაჰმად-ხანმაც სცნა;

ამას იმერნი ჩერქეზები ეგონა. არზუმანაშვილს, ფანიზას და არარაცის კაცს ჰქითხა:

— ის რა ხალხია, გრძელ ჩოხიანები, რომ ასე გმირულად ომობენ?

— იგინი ქართველები არიან ანუ იმერლები, იმერეთის ხანი სოლომონიც აქ გახლავთ. მან 3000 კაცი მოაშველა მეფე ერეკლეს.

— ჰო, ეგ არ ვიცოდი, კარგი, სამაგიეროს გადვუძღი, მოვესწრები მათს დასჯასაც. ნეტამც ერთი-ორი სამი ტყვე დაიჭიროთ მათგან. მე ძალიან მინდა, რომ მათგან ვინმე ვიყოლიო.

— მათი დაჭერა ძლიერ ძნელია, მათგან ერთი ტყვეც ვერ დავიჭერეთო, მაინც ვეცდებით, რომ ბრძანება შევასრულოთო.

— კეთილი! ბრძანა სისხლით გაუმაძღარმა საჭურისმა ხოჯამ.

მტერთა სიტყვა მართალი იყო, იმერეთის ჯარის შესახებ, რომ ამათგან მათ პატიმრად ერთი კაციც არ ჩაუვარდათ ხელში, მხოლოდ რაღაცა მანქანებით ჩაიგდეს ხელში ორი მშვენიერი ახალ ნორჩ ყმაწვილ იმერელ მეომარ გლეხებთაგანი; რომლებიც საჭურისს მიჰვარეს. ამ საქმეებში მონაწილეობას იღებდა ვიღაც გათათრებული სადაღა ტფილი-სელი, ბაყალ არუთინას მამათ ცნობილი, მაგრამ კეთილი კაცი, ამ გათათრებულ სომხის კარგი მეგობარი იყო ახალგაზდა სპარსი სუდა-ლადა, რომელიც განწვალებული იყო მაჰმად-ხანისაგან. სუდა-

ღადას განზრახულებაში გათათრებულმა სომეხმა და ორმა იმერელმა დაახლოვებული მონაწილეობა მიიღეს და აღა-მაჰმად-ხანი ღამე კარავში მოჰკლეს.

როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, იმერეთის ჯარმა ომის გათავების წინად უკან დაიწიეს და ტფილისზედ გაიარეს. ამ დროს მათში ბევრნი დაჭრილები აღმოჩნდნენ და ბევრიც მკვდრები. მკვდრები წყალში ჩაჰყარეს; დაჭრილებს უპატრონეს და მერე წასვლის საქმეს შეუდგნენ.

ჯარს არაფერი სურსათი არ აღმოუჩნდა, არც პური, არც სიმინდი, არც ღვინო, ყველი, ხორცი და სხვა რამ, თითქმის მშივრები იყვნენ. ტფილისის სახლები-კი დაკეტილები იყო და არსად რამ მოიპოვებოდა.

ერთმა ბრძენმა იმერელმა მოახსენა მეფე სოლომონს:

— ბატონო მეფეო, ქილაქი ცარიელია, სახლები დაკეტილებია და შიგ აქა-იქ ბევრი რამ აწყვია. ჩვენ აქ მშივრები ვიხოცებით და დაკეტილს სახლში-კი ათასნაირი ხორაგეულობა არის დატოვებული. გავაღოთ ზოგიერთი სახლის კარები და რაც ჩვენთვის საგზაო იქნეს და საჭირო ყველა ისინი გამოვიტანოთ და ვისარგებლოთ, ზოგით აქ ვისაზღვოვოთ, ვჭამოთ რამე და ზოგითან წავილოთ; თორემ გზაში დავიხოცებით შიმშილით, ნამეტურ დაჭრილნი. სხვა რამ ძალა და სახსარი ჩვენ არ გვაქვს, ამწუთასაც მშივრები გახლავართ. ჩვენ რომ არა წა-

ვილოთ-რა, სულ ერთი გახლავთ, იგი ჩვენ მტერს
დარჩებათ დღეს.

— კეშმარიტათ მართალს ბრძანებს. ჩვენ წა-
ვალთ, დღეს მტერი შემოვა და ყველაფერი მათ და-
ხვდებათ აქ. ისინი წაიღებენ სულ, მით ფეხსაც გა-
იმაგრებენ. მიუგეს სხვათა.

მეფე დაფიქრდა და მერე ჯარს ნება მისცა ზო-
გიერთ სახლების კარების გაღების და სურსათის გა-
მოტანისა. ჯარმა იწყო სახლების კარების მტვრევა
და პურისა და სხვა რამ საგაძალის ზიდვა. მოქალაქეთა
ყარაულებმა ამაზედ შექმნეს ყვირილი:

— ვაით, გვიშელეთ, იმერლებმა ქალაქი აიკ-
ლეს, სახლები გაქურდეს, გავცარვეს, წაგვახდინეს,
დაგვლუპეს. ამათი ყვირილი ყველგან ისმოდა. იმე-
რეთის ჯარი ამათ ყვირილს არ შეეპუა, ამათ საკმა-
რისი სურსათი მოაგროვეს და 11 საათზედ ტფი-
ლისიდგან უკვე გავიდნენ და გზას გაუდგნენ. ამავე
დღეს 4 საათზედ სპარსებმა ტფილისი აიღეს და თა-
ვისუფლად შემობრძანდნენ შიგ. ტფილისის ეს აღე-
ბა ოც-და-მეცხრეთ მოხდა მტერთაგან.

ტფილისის მცხოვრებთაგანი ამათ წინააღმდეგი
არავინ გაუხდა. ხმაც არავის ამოულია. რასაკვირვე-
ლია შიშით.

ყეინმა ბრძანება მისცა ჯარს, რომ რაც სახლე-
ბია სულ დამტვრიეთ და გაცარცვეთო, განაცარც-
ვი ტფილის გარეთ გაზიდეთო. ჯარმა იწყო სახლე-
ბის კარების მტვრევა და ცარცვა. მთელი ტფილი-

სის სახლები დაცარცვეს, არსად ერთი ჩხრიც აღარ დასტოვეს, მთლად გაზიდეს, უბრალო ჭილობებიც კი არ დაუტოვებიათ, სამს დღეს მოუნდა სპარსთა ჯარი 70,000 კაცი ქალაქის სახლებიდგან სურსათ, ავეჯეულობას და სხვა რამეების ზიდვას, ქალაქის სახლების დაცალიერება ყეინს მოახსენეს, ყეინმა მალე მისცა ქალაქის სახლების დაწვის ბრძანება. სისხლით გაუმაძლარი საჭრისი ჯვარის. მამის ზემოთ, მელიქიანთ ერთს სახლის ბანზედ ავიდა და იქიდგან დაუწყო მზერა ქალაქის დაწვას.

აქეთ ქალაქი იწოდა და იქით კიდევ სპარსთა ჯარი ერთშანეთში ინაწილებდნენ იმ ნივთებს, საქონელს, ფულს და სხვა რამეებს, რაც მათ ტფილისის სახლებიდგან მოაგროვეს და წაილეს.

ახლმა მე ვკითხავ ზოგიერთს ჩვენს მეისტორიებს და ნამეტურ იმ პირებს, რომლებიც იმერლებს აბრალებენ ქალაქის გაცარცვას და ლალატს, თუ იმ დროს იმერთა ჯარისაგან მოხდენილი საქციელი რა თვისების მექონ საქციელად უნდა ჩაითვალოს დანაშაულად, ლალატად, თუ კანონიერს მოქმედებად?

3000 კაცი მოვიდა საშველად, 1500 კაცი გაწყდა, 1500 უკან დაბრუნდნენ. ამათ დაბრუნების დროს ლუკმა პური არ ჰქონდათ. ტფილისის სახლები კი საცხეები იყო სურათით, იმერეთის ჯარმა ისარგებლა ამით და სახლებიდამ სურსათი გაიტანა სამგზავროთ. მტერს საშოვნელი სიმდიდრე სა-

კმარისად შეუმცირეს, ნამეტურ საგძლის მხრით, ჩვენ საგძალს მოვხვიოთ ხელიო. თორემ ამით იგინი აქ ფეხს გაიმაგრებენო. სხვა რამ ნივთები-კი ჩვენთვეს საჭირო არ არის და ამაებით ვერც ისინი გააწყობენ აქეთ რამეს. რაღვანაც საგძალს ვერსად რას იშოვნიანო. იმერთა ჯარმა ასეთი მოსაზრება იქონია, ესენი ასე მოიქცნენ და ქალაქელებმა-კი ამათ ასეთს ჭკუის საჭირელს მტრობა დასწამეს. ამათზე ამოიღეს ხმა „აღა-მაჰმად-ხანმა რომ ტფილი-სი აიკლო და აღაოხრა იმაზე-კი არა სთვეს რა და იმერლებისაგან გატანილ სურსათის გამო შექმნეს ღრიალი რომ „იმერლებმა გვიღალატესო!“

კაი საქმეა თქვენმა მზემ, კაი სამართალი და კაი მართლ-მსაჯულება. მხნე ერი თავ-გამოდებით საშველად მოვიდა, ბრძოლის შემდეგ ესენი შინის-კენ მშივრები მიღიოდნენ და ქალაქელებს-კი ისე აერიათ გზა და კვალი, რომ ამ მშველელ ერისთვის სურსათის მიცემაც-კი დაიშურეს და უკანასკნელ ღალატიც-კი დასწამეს.

ქალაქელება ესეც არ აკმარეს. მხნე იმერთა ჯარსა. სხვათრივაც დასკინდეს. იოსებ არღუთინს კი ბძანებს, რომ ვითომც იმერლები სპარსების დანახვის უმაღვე შეშინდნენ, იმათ არც-კი უომნიათ, ესენი ომის დაწყებამდისვე გაიქცნენ თურმე და ერთ-მანერთს უყვიროდნენ იმერული სიტყვებითა:

— ბიჭო გეიწი, გეიწი, ყიყლიბაში მოვიდა. ყიყლიბაში. გეიწი, გეიწი,

ასევე ბრძანებენ მრავალნი და მელექსე ფერ-შანგიც, რომ, ნამეტურ ღომ-ნაჭამ იმერლებმა წაგვა-დინესო. ამ დღეებში „არძაგანქშიაც“ ესევე სიტყვები იყო სომხურ ასოებით ამოწყობილი. და დაბეჭ-დილი ერთს წერილში.

კმარი ამაზედ ლაპარაკი, ასეთ პირების თვისე-ბათა გაცნობა. ჩვენთვის ე. ი. ქართველი იმისათვის-კი სახელმძღვანელოთ უნდა დაშთეს უმართებულო მტრების ცილის-წამება და სამსახური. გონი ღრუა, რომ თვალები გავახილოთ და ჩვენი ავი და კარგი ვიცნოთ. კმარა, რომ მტრობას, ქიშიობას და სხვა ამისთანა რამეებს ბოლო მოეღოს.

ესე პირნი მოგვითხრობენ, რომ იმერეთის ჯარ-მა ტფილისის აკლების შემდეგ, გზათ მიმავალი, ქართლის სოფლებს შეესია, ხალხი დაიტაცეს, სხვა-და-სხვა რამეები, ხალხი ახალციხეში გადარეკეს და იქ დაყიდესო. /ვითომც მაშინ იმერლებმა 10,000 ქართველი მოიტაცეს. სიცრუე შეიძლება და ასეთი სიცრუე-კი არა. ზემოთ მოვიყვანეთ ჩვენ ცნობები, რომ თვით ამავე ცნობების დამწერთა სიტყვებით მთელი ქართლის სოფლები დაცარიელებული იყო, ხალხი სულ ჯგუფ-ჯგუფათ შორს ტყეებში სცხოვ-რობდა, რომელთა კვალი იმერლებმა და სპარსებმა-კი არა და ქართველებმა და სომხებმაც არ იცოდ-ნენ, თუ ეს ხალხი სად იყვნენ დამალული. და მა-შასადამე იმერეთის ჯარმა სად რა სოფლებს შეესია და ხალხი დაიტაცა!

ჩვენდა სამარცხვინოთ დუბროვინი იმერლების
ტფილისში მოსვლას სპარსების შემოსევაზედ უარეს
მნიშვნელობას აძლევს და ამასვე იმეორებენ ზოგი-
ერთი ჩვენის დროის კაცებიც.

იმერეთის ჯარი ღალატათ თუ სხვა რამ შეც-
დომათ აი რაში გამოიხატება და რა გახლავთ, რო-
მელსაც ჩვენ არ ვმალავთ.

მოგეხსენებათ, რომ გვარში ერთი მახინჯი არ
დაილევა. ასევე ქართველთ ბედმა მოუვლინა ისე-
თი მავნებელი პირი, როგორიც იყო ზურაბ წერე-
თელი. ზურაბ წერეთელი ჩვენში ცნობილი გვამია.
იგი დიდად ძუნწი კაცი იყო და ოქრო ვერცხლის
მოყვარე. ტფილისიდამ იმერთა ჯარის განსვლის
დროს, ამან ჯარიდამ იდუმალ რამდენიმე კაცი და-
იახლოვა და მათ სთხოვა, რომ ოქვენ ჯარიდამ
უჩუმრად გაიპარენით, სოფლები სცარცვეთ, ტყვები
დაიტაცეთ, იგინი საღმე დაყიდეთ და დანაყიდის
ნახევარი მე მომიტანეთ და ნახევარი თქვენ აიღე-
თო. ზურაბ წერეთლისაგან მიბირებულთ ავაზაკი
რიცხვი 40 კაცისაგან შესდგა, უმეტეს მის მოყმე-
თაგან. ესენი ჯარიდან ისე მიიმალნენ, ისე ჩუმად
ამოეფარნენ აქა იქ ჯაგებს, რომ ამათი მიმალვა უკა-
ნით ვერც ჯარმა შეიტყო და ვერც მეფემ. ერთი
ძველი წერილი აი როგორ მოიხსენიებს ამას:

„მეფე სოლომონ წარემართა გზასა თვისსა, მა-
შინ უცნობლად მისსა, განეცვნენ მას მხედრობასა
მისგან კაცნი რაოდენიმე. ჰგონებდა მეფე წინარე

წარსვლისა მათსა. გარნა დადგნენ იგინი ადგილსა დაფარულსა უკანით, რათა არა იხილნეს იგი მეფე- მან მათმან და ოდეს განეშორა მათ მეფე, იწყეს მათ ავაზაკბერ მოქმედება, რომელ სადაც ჰპოვეს გზათა ზედა სახლეულობანი ტფილისელთა მცხოვ- რებთაგან აყრილნი და მავალნი, განძარცვათ მათა ხელ ჰყვეს, და რომელნიმე მათგანი განძარც- ვეს, ხოლო სხვანი ხიზანი სიმხნითა თვისითა ჰფარ- ვიდეს თავთა თვისთა და ესრეთ გადავიდნენ იმერ- ნი ქვეყანასა თვისა“.

აქ აშეარათ სჩანს თუ რაც უქმნიათ იმერლებსა და ან რამდნეი ათასი ტყვე მოუტაცნიათ? ამას გა- ნმარტვა აღარ სჭირია. ჩვენ სამწუხაროთ მხოლოდ ის მიგვაჩინია, რომ მოღალატე ზურაბ წერეთლისაგან შემდგარ 40 კაცის ბინძური აჩრდილის ქვეშ უნდა ილახებოდეს მთელი იმერეთის საუკეთესო მამულის შვილების ღვაწლი და დიდება, სახელოვნება და ის ამაგი, რაც მათ ქართველებს აღმოუჩინეს. მაგრამ რასა ვიქმთ სადაც ზურაბ წერეთლები იქმნებიან, იქ ასეთი უბედურება და ლალატი არას დროს არ და- ილევა.

ზ. ჭ.

1895 წ.

942.922

+ 554

947.922

g 551

ଓৰু মৰণ ঘৱালো